2016 წლის 26 ნოემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება

# „კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობების“ კათედრის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

# კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები

კონფერენცია გაიხსნება 12 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე სააქტო დარბაზში

კონფერენციის სამეცნიერო მიმართულებებია:

1. კვების მრეწველობის საწარმოთა ინოვაციური ტექნოლოგიები და მოწყობილობები;
2. ხელოვნური სიცივის გამოყენება კვების მრეწველობაში;
3. სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკა

კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

კონფერენციაში მონაწილეობისათვის საჭიროა 2016 წლის 20 ოქტომბრამდე წარმოადგინოთ:

- სტატიის ტექსტის ამონაბეჭდი;
- სტატიის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე, ასევე შეიძლება გადმოიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე tmegrelidze@yahoo.com);
- საორგანიზაციო ხარჯებისათვის თანხის გადახდის ქვითარი, ან უშუალოდ თანხა (თითოეულ სტატიაზე 40 ლარი, რომელიც მოიცავს ერთ შრომათა კრებულს; ვახშმისათვის – 40 ლარი).

# მოთხოვნები სტატიის გაფორმებისათვის

- სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატზე ტექსტურ რედაქტორ Word-ში;
- არეები: ზედა – 20 მმ; მარცხენა – 30 მმ; მარჯვენა - 20 მმ; ქვედა – 20 მმ.
- გამოყენებული შრიფტი: ქართული სტატიისათვის AcadNusx. რუსული და ინგლისური სტატიებისთვის Times New Roman. სტრიქონთაშორისი ინტერვალი-1,5;
- სტატიაში ფორმულები აკრებილი უნდა იყოს ფორმულების რედაქტორ Equation-ში;
- ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ტექსტში ჩასმული უნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;
- პირველ სტრიქონზე უნდა დაიბეჭდოს სტატიის სათაური (14 Pt, Bold);
- სტრიქონის გამოტოვებით - ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები (12 Pt, Bold) ;
- მომდევნო სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება (12 Pt, Bold, სტატიაში სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას აღნიშვნა *);
- სტრიქონის გამოტოვებით - სტატიის მოკლე ანოტაცია (10 Pt, დახრილი შრიფტით, არაუმეტეს 500 სიმბოლოსი);
- სტრიქონის გამოტოვებით სტატიის შინაარსი (12Pt);
- ორი სტრიქონის გამოტოვებით - გამოყენებული ლიტერატურა (10 Pt);
- ორი სტრიქონის გამოტოვებით - რეზიუმე ინგლისურ ენაზე (10 Pt, არაუმეტეს 1000 სიმბოლოსი);
- სტატიის მოცულობა 4-6 გვერდი;
- ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიების რაოდენობა არა უმეტეს 2-სა;
- სტატიის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტდისკზე (CD), ფაილს უნდა ერქვას პირველი ავტორის გვარი და სექციის ნომერი; ასევე შეიძლება გადმოიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე tmegrelidze@yahoo.com**);**
- საორგანიზაციო ხარჯებისათვის თანხის გადახდის ქვითარი, ან უშუალოდ თანხა (თითოეულ სტატიაზე 40 ლარი).


**საკონტაქტო პირები**

**თამაზ მეგრელიძე** –☎ 032 2934432 593 590 049

**გივი გუგულაშვილი** –☎ 032 2571257 593 940 931

**გიორგი მეგრელიძე** –☎ 032 2934432 555 139 421

**საკონტაქტო მისამართი -** საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 72, I კორპუსი 620 ბ ოთახი